

განმარტებითი ბარათი
”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია პროფესიული განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის რეფორმირების საჭიროებით. საქართველოს მთავრობამ 2005 წლის 31 აგვისტოს #150 დადგენილებით დაამტკიცა კონცეფცია პროფესიული განათლების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს რიგ სიახლეებს პროფესიული განათლების რეგულირებაში. შემუშავდა ახალი მიდგომები და პრინციპები, რომელთა დანერგვამაც არსებითად უნდა შეცვალოს პროფესიული განათლების სფეროში არსებული დაწესებულებების საქმიანობა. კონცეფციით გათვალისწინებული პროფესიული განათლების სისტემა მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში მოდის პროფესიული განათლების სფეროში დღეისათვის არსებულ საკანონმდებლო აქტებთან - ”დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ”, ”განათლების შესახებ” და ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონებთან. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული კონცეფციის განხორციელების საჭიროებამ განაპირობა ახალი კანონპროექტის - ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება.

- ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია პროფესიული განათლების სფეროს რეგულირების ცვლილება, რომელიც შესაძლებელს გახდის პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას და მის დაკავშირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კანონპროექტის მიზანია პროფესიული განათლების სფეროში იმ ინსტიტუციებისა და მექანიზმების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტანდარტის, სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის განხორციელების გზით. ამასთან, პროექტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული განათლების სფეროში პროფესიული ასოციაციების, დამსაქმებლებისა და სახელმწიფოს სხვა პარტნიორების მონაწილეობის ზრდა პროფესიული განათლების სისტემაში.

კანონპროექტის ერთერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული კვალიფიკაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების მოხილობა სხვადასხვა, მათ შორის ევროპულ, ქვეყნებში. სწორედ ამიტომ წარმოდგენილია ერთიანი საკვალიფიკაციო ჩარჩოს კონცეფცია, რომელიც მრავალ ევროპულ სახელმწიფოში განსხვავებული სახით დაინერგა და მნიშვნელოვან წინაპირობას და შესაძლებლობას წარმოადგენს სხვადასხვა პროფესიული კვალიფიკაციების და მათი დონეების გამიჯვნის, თითოეული კვალიფიკაციისათვის

შესაბამისი შრომის ბაზრის განსაზღვრის და პროფესიული სტანდარტების განვითარებისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული განათლების სახეების ახლებურ რეგულირებას. კერძოდ, თუ დღეისათვის პროფესიული განათლების სფეროში გამოიყოფა დაწყებითი პროფესიული განათლება და საშუალო პროფესიული განათლება, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია პროფესიული განათლების სფეროში ორი დონის: სახელობო განათლებისა და პროფესიული უმაღლესი განათლების არსებობა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პროფესიული უმაღლესი განათლება წარმოადგენს უმაღლეს განათლებას, შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, იარსებებს მხოლოდ ერთი ტიპის პროფესიული - სახელობო განათლება. ხსენებული ცვლილება მიზნად ისახავს პროფესიული განათლების მნიშვნელობის გამყარებას, რადგან პროფესიული განათლების არსებითი ნაწილის უმაღლესი განათლების დონეზე რეგულირება, მნიშვნელოვნად აწევს როგორც მის ხარისხს, ისე საზოგადოების დამოკიდებულებას ამ სახის განათლებისადმი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს გავლენას საქართველოს 2006 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს გავლენას საქართველოს 2006 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება განსაზღვრული არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულ იქნა კონსულტაციები და გათვალისწინებულ იქნა მრავალი რეკომენდაცია შემდეგი პირებისაგან: ევროკომისიის მიერ პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი ტასისის პროექტის ფარგლებში, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში
ევროკომისიის მიერ ტასისის პროექტის ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში დასკვნა არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.